# ო ქ მ ი №4

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სახდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 27 მაისს.

**სხდომა დაიწყო** 12:00 საათზე, დამთავრდა 12:45 საათზე.
**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი.
**ასევე ესწრებოდნენ:** შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს დირექტორი - კ. ვახანია საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი.
**სხდომას თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :

1. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე
მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს დირექტორი: კ. ვახანია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინა:** 1. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე
მომხსენებელი: შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს დირექტორი: კ. ვახანია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს 2023 წელს გაწეული საქმიანობა.
**აზრი გამოთქვეს:** ს. ოდიშარიამ, მ. გვიჩიამ, კ. ვახანიამ, ი. ქარდავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა